იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 8 (192)

აპრილი,

1968 წელი

ამ დღეებში აჭარაში შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების **ბათუმის განყოფილება,** რომლის თავმჯდომარეა პოეტი **ფრიდონ ხალვაში.**



•

გაზეთ **„საბჭოთა ხმის“** ამ ნომერში დაბეჭდილი მასალები მოგვითხრობენ განახლებული **აჭარის** ბედნიერ აწმყოზე და მის ნათელ მომავალზე



განახლებული

აჭარა წინათ და ახლა

აჭარა უძველესი დროიდან არის დედა-საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე მხარე, მისი ღვიძლი ნაწილი. აჭარის ისტორია და კულტურა განუყოფელია მთლიან საქართველოსაგან. აჭარა მუდამ იყო დარაჯი საქართველოს სამხრეთ საზღვრისა, იგი მტრის მახვილს საკუთარ ფარს პირველი შეახვედრებდა ხოლმე. აჭარას ბევრი მომხდური და აბრაგი უნახავს, მაგრამ არავის წინაშე ქედი არ მოუხრია. მუდამ საქართველოს მთლიანობისათვის იბრძოდა.

ქართველი ხალხის თავდაცვით ბრძოლებს ძველთაგანვე სამშობლოს თავისუფლებისადმი დიდი სიყვარული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის თავდადების ღრმა იდეალები ახასიათებდა. ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე თავისი ძველი კულტურისა და მეობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა. იმდროინდელი მაღალი კულტურული დონის შესახებ ცნობებს ძველი დროის მწერლები გვაწვდიან. მათი გადმოცემით, გონიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაახლოებით 2500 წლის წინათ, ყოფილა თეატრი და იპოდრომი, რაც დამახასიათებელია ზოგიერთი დიდი კულტურული ქალაქისათვის. ამ კუთხის მატერიალური და სულიერი კულტურის მაღალი დონის მაუწყებელია ჩვენამდე მოღწეული მრავალი ისტორიული ძეგლის ნაშთი. თავიანთი სიდიადითა და არქიტექტურული მნიშვნელობის მხრივ მათგან ყურადღებას იპყრობს გონიას, ციხისძირის (პეტრას), ხიხანის და სხვა ციხე-ქალაქები და სხალთის ტაძარი. აღნიშნული და სხვა ციხე-სიმაგრენი ქართველი დიდოსტატების ხელით არის აშენებული. ეს რომ ასეა, ამას თვით ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები და მწერლები (ქსენოფონტე, სტრაბონი, კესარიელი და სხვები) ამტკიცებენ...

რას წარმოადგენდა აჭარა საბჭოთა ხელისუფლებამდე? აჭარა 40 წლის მანძილზე მეფის რუსეთის „მფარველობაში“ იყო, განიცდიდა ეკონომიურად ექსპლოატაციას და სულიერ ჩაგვრას. სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური წესით განვითარება ქმნიდა მოსახლეობისათვის აუტანელ პირობებს. აქ მრეწველობა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად გაჩანაგებული იყო. იგი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი. ამიტომ საჭირო იყო მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა, რაც აღდგენით პერიოდსა და შემდგომ ხუთწლედებში გაკეთდა.

დღეს აჭარაში თითქმის მრეწველობის ყველა დარგია განვითარებული. მრავალდარგოვანი მრეწველობა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. ასეთებია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, გემთმშენებელი, ქიმიური, ტყავის, კოფეინის, მომთუთიებელი და ელექტროტექნიკური ქარხნები, სამკერვალო, ფეხსაცმლის, ავეჯის, თამბაქოს ფაბრიკები და სხვ. ბათუმის ბუნებრივი ნავსადგური, რომელიც ოდითვე ცნობილი იყო, ახლა ტექნიკის უმაღლესი მიღწევებით არის აღჭურვილი. ბათუმში პირველად შეიქმნა საქართველოს საზღვაო-სანაოსნო სამმართველო, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან არის დაკავშირებული. ვინ მოიფიქრებდა იმას, რომ ოდესღაც გაუვალ აჭარისწყალზე აშენდებოდა ახალი ელექტროსადგური.

დღეს აჭარა აღარ არის პრიმიტიული წარმოებების მხარე, სადაც 90 წლის წინათ არცერთი წარმოება არ იყო. ახლა აჭარაში გვაქვს ახალი ტექნიკით შეიარაღებული მრეწველობა.

თუ წინათ სოფლის მეურნეობა მუშავდებოდა კავითა და ფარცხით, ახლა ჩვენს სოფლის მეურნეობას სახე შეეცვალა. ჩაი და ციტრუსები აჭარის რაიონების მცხოვრები გლეხობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

თუ ძველად ჩვენი გლეხის წლიური შემოსავალი მის ოჯახს სამ თვეს ყოფნიდა და მას შეეძლო ეყიდა მხოლოდ მარილი, ნავთი, საპონი, წალდი და ცული და შემოსავლის დანარჩენი ნაწილი გადასახადებს ფარავდა, იგი ფიცრულში ცხოვრობდა და ძლივს სუნთქავდა, ახლა ჩვენი კოლმეურნე გლეხები საამურად ცხოვრობენ. მათ აქვთ ორ და სამ სართულიანი სახლები, ჰყავთ მსუბუქი ავტომანქანები.

ცარისტული რეჟიმის დროს აჭარლებისათვის იყო მხოლოდ ერთი ქართული სკოლა, რომელიც 1881 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა. 1921 წლის დამდეგს მხოლოდ 2 კაცს ჰქონდა უმაღლესი დამთავრებული, ისიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიით. ამ პერიოდისათვის აჭარის მოსახლეობის მხოლოდ შვიდი პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე.

1921 წლიდან ჩვენში იწყება ნამდვილი კულტურული რევოლუცია. ახლა არ არსებობს არცერთი სოფელი, რომ იქ არ იყოს სკოლა, კლუბი და ბიბლიოთეკა; აჭარის ქალები ჩადრში იყვნენ გახვეული, დღეს კი ისინი მამაკაცებთან ერთად ახალ საზოგადოების აქტიური მშენებლები არიან. დაახლოებით 1935 წლამდე აჭარის ზემო რაიონებში არ გვყავდა უმაღლესი განათლების მქონე ადგილობრივი კადრი. ახლა კი აჭარის ზოგიერთ ოჯახში ექვსი-რვა უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდაა.



სურათზე: ქ. ბათუმის ერთ-ერთი კუთხე.

როცა უკან მოვიხედავ

ამას წინათ უცხოეთში მცხოვრებმა ერთმა ჩემმა ნათესავმა, რომელსაც ჩემი ლექსების წიგნი გავუგზავნე, აღტაცებითა და უსაზღვრო გაოცებით აღსავსე წერილი მომწერა.

„მთელი დღე სიხარულით ვტიროდი... რაფერ ვიფიქრებდი, რომ ჩვენებური როისმე წიგნს დაწერდა. მითხარით, თქვენი ჭირიმე, ბევრმა იცის აჭარაში წერაკითხვა?“

დღეს შეიძლებოდა ეს ბოლო კითხვა შებრუნებით დაგვესვა — არის ვინმე დღეს აჭარაში, ვინც წერაკითხვა არ იცის?

როცა ვუკვირდები, ვრწმუნდები, რომ ოცდაათი წელი მთელი ეპოქა ყოფილა. ოცდაათი წელიწადია სწორედ, რაც ის ჩემი ნათესავი უცხოეთში გადასახლდა.

მისმა წერილმა უნებურად უკან, ახლო წარსულისაკენ მიმახედა. რა იყო ჩემი მხარე მაშინ, თუნდაც ოცდაათიანი წლების მიწურულს? გულწრფელად ვიტყვი, — გახსენებაც კი არ მსიამოვნებს. ჩამორჩენილობა, სიბნელე ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო დამარცხებული.

ახლა მარტო ჩემს პატარა სოფელში იმდენია უმაღლესი განათლების მქონე, რამდენიც ოცდაათი წლის წინათ მთელ აჭარაში იყო.

დღეს აჭარაში ქართველ მწერალთა კარგად მოზრდილი ორგანიზაციაა. გვაქვს ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“ და ბათუმში გამოდის წიგნები.

მე დიდი ხნის არა ვარ, მაგრამ უკან რომ მოვიხედავ, მგონია მთელი საუკუნე მიცხოვრია-მეთქი. ჩემი თაობის თვალწინ უდიდესი ცვლილებები მოხდა.

ამიტომ არ ვამტყუნებ ჩემს უცხოელ ნათესავს, რომელმაც ახალგამოღვიძებული აჭარა დატოვა. მას ხომ არ უნახავს ეს ჩვენი დღევანდელი დღე.

როგორც შევატყვე, მას ქართული ენაც მკვდარი ეგონა და ქართულად დასტამბულმა წიგნმა ამიტომაც ზედმეტად გააოცა და გაახარა.

მე არ დავიწყებ მსჯელობას იმაზე, თუ როგორ აღორძინებას და აყვავებას განიცდის დღეს ჩვენი მშობლიური ენა. ოღონდ მამულზე ოცნებას ორი სტროფი ლექსით დავამთავრებ:

მე შენი შვილი, ერთი ქართველი,
თუ წავალ სხვაგან, ვარ საქართველო,
შემერგოს შენი ჰავა ჯანმრთელი
და შენი ლურჯი ღამე ვათენო.
მე შენი წყაროს წყალი შევირგო
და შენი ჭადი კეცზე დამცხვარი.
ჩემი სიმღერის ცეცხლი შენ იყო,
მე კი — სიმღერის ცეცხლზე დამწვარი.

ფრიდონ სალვაში.

არ არის მეცნიერების არცერთი დარგი, რომ აჭარას არ ჰყავდეს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი, არა მარტო უმაღლესი განათლების მქონე მუშაკები, არამედ მეცნიერების კანდიდატები — დოცენტები, მეცნიერების დოქტორები, პროფესორები. ამჟამად აჭარაში 450 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, ასევე მუშაახალგაზრდობისა და სხვადასხვა სპეციალობის სასწავლებლები 50-მდე აღწევენ. მათში გაერთიანებულია 60.000-მდე მოსწავლე. აჭარის სკოლებში მუშაობს 4.500-მდე მასწავლებელი. დღეს აჭარაში კულტურის საქმეს ემსახურება 140-მდე კლუბი და 250-მდე ბიბლიოთეკა. გარდა ამისა ბიბლიოთეკები არსებობს სკოლებთან, კოლმეურნეობებთან და მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებთან. გვაქვს 25 კულტურის სახლი, არსებობს 2 სახელმწიფო მუზეუმი და ხუთი სახალხო მუზეუმი, დრამატული თეატრი, ფილარმონია, ხალხური შემოქმედების სახლი, ტექნიკის სახლი და სხვ. თუ წინათ აჭარაში მეცნიერულ დაწინაურებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, დღეს აქ არის მრავალი სამეცნიერო საკვლევი დაწესებულება, როგორიც არის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, თევზმეურნეობის სადგური, კოროზიის ინსტიტუტის ფილიალი, საქართველოს კვების მრეწველობის ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი, ანასეულის ჩაის ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი, სამკურნალო მცენარეთა ზონალური სადგური, დაუსწრებელი ინსტიტუტების ფილიალები და სხვადასხვა დაწესებულებები. ამ დაწესებულებებში სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას ეწევა 260-მდე მეცნიერი მუშაკი.

აჭარის მოსახლეობის ჯანმრთელობას მომსახურებას უწევს 700-მდე მაღალკვალიფიციური ექიმი და 2.335 ექიმის თანაშემწე. როგორც ცნობილია აჭარა საკუროორტო რესპუბლიკაა. მშრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის საქმეს ემსახურება 17 დასასვენებელი სახლი, 5 სანატორიუმი.

დღევანდელი აჭარა ახალი, ბედნიერი საქართველოს საუკეთესო კუთხეა, სადაც მოსახლეობა ბედნიერად ცხოვრობს.

ხარიტონ ახვლედიანი.

ბათუმი.



ყოველდღე ბათუმის საზღვაო პორტის მისადგომებს ადგებიან საოკეანო გემები მსოფლიოს სხვადასხვა ალმებით.


იზრდება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო სავაჭრო კავშირები. ნავთობპროდუქტებით და სხვა საქონლით დატვირთული გემები აქედან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიდიან.

დღე და ღამე არ კლებულობს ნავსადგურში მუშაობის ტემპი. ბათუმში მომავალ გემებს ნავსადგურის ღია რეიდზე პირველად სტუმართმოყვარე ლოცმანები ხვდებიან. მათ ოსტატურად შემოყავთ გიგანტური გემები პორტში და ნავმისადგომებთან აყენებენ.

ბათუმის საზღვაო პორტის ერთ-ერთი საუკეთესო ლოცმანია ზურაბ **ფხაკაძე**. ასობით გემი შემოუყვანია მას პორტში.

ფოლადის მილებით ნავთობპროდუქტები გადაედინებიან გემების ტრიუმებში. ბოლო დროს ნავთობსასხმელი მისადგომები მნიშვნელოვნად რეკონსტრუირებულია.

სურათებზე: ბათუმის საზღვაო პორტის ლოცმანი ზურაბ ფხაკაძე; ბათუმის პორტის ნავთობსასხმელი მისადგომი.



ნარკვევი

ალხამუშის ნასახლარზე

იქნებ არც ედგა სახლი, მიწურში ცხოვრობდა, გამოქვაბულში, ან მაღალი ხის ქვეშ — კარავში. მაგრამ ჩვენ მაინც ნასახლარს ვუწოდებთ იქაურობას.

მიწურებში, ფაცხებსა თუ კარვებში იბადებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ დიდი წინაპრის შთამომავალნი და არსებობისათვის ბრძოლა-ჭიდილში ინარჩუნებდნენ სიცოცხლესა და თავშესაფარს.

ალხამუში შორეული წინაპარია. შეიძლება სახელს ჩვენამდე სწორად არ მოეღწიოს, მაგრამ ამ ადგილას დასახლებული ახლედიანები მას აღიარებენ გვარის მოთავედ და წინაპრად, ამდენად ჩვენც ვენდობით ფაქტს.

ხუთასი წლის წინათ ჩამოსულა ალხამუში შავი ზღვის პირას, მოსწონებია აჭარის მიწა და აქ დასახლება განუზრახავს. რატომ დატოვა მან ადრინდელი საცხოვრებელი, ამის შესახებ ზუსტად არაფერი იციან.

ვინ ამბობს, მოსისხლეს გამოექცა სვანეთის მაღალი მთებიდანო, ვის მღელვარე და დაუდეგარი ბუნების ადამიანად მიაჩნია, ერთ ადგილას რომ ვერ უდებს გულს და მომთაბარეობს. ან იქნებ ლამაზი ასული მოსტაცა სვანეთის მთავარს და ქვეყნის დასალიერს მიაშურაო.

ზეპირ გადმოცემებს ცოტა დაეჯერება, მაგრამ როცა მემატიანეს რაიმე ფაქტი გამორჩება, იმას ლეგენდებითა და თქმულებებით ავსებენ.

და ჩვენც იმ ვარაუდს ვემყარებით, რომ ალხამუში სვანეთის მაღალი მთებიდან ესტუმრა შავი ზღვის სანაპიროს. ესტუმრა, მაგრამ მალე მასპინძელი და მკვიდრი გახდა.

დიახ, სვანეთის მთიდან ჩამოვიდა და სახარებასა და მაცხოვრის ხატთან ერთად თავისი სახელი და გვარი ჩამოიტანა.

წელი წელს მიჰყვება. ალხამუშ ახლედიანის ნაშიერი მომრავლდა და ახლანდელი მახინჯაურის მიწაზე შავი ზღვის პირას გაიშალა.

კვლავ გავიდა დრო, ორი საუკუნეც მოიკეცა და...

ხანგრძლივი და უთანასწორო ბრძოლების მიუხედავად მაცხოვრის ხატი და სახარება მაჰმადმა და ყურანმა შეცვალა.

ძლეულ იქნა ქრისტიანობა, ჯვარს ნახევარმთვარე გადაეფარა. მაგრამ ქართველობას ვერა დააკლო **ამან.** ქართული სახელების შეცვლა მოჰყვა სარწმუნოების გამოცვლას, მაგრამ ქართველი ვაჟკაცების ეროვნული რწმენა და სამშობლოს სიყვარული არ შეცვლილა.

გამოჩნდნენ ალხამუშის შთამომავალნი ახმედ, ჰუსეინ. სალი, ქუჩუ-აღა და სხვები. მუსლიმანები და მორწმუნენი. მაგრამ ახლედიანები და ქართველები.

და აი ჩვენ ერთ-ერთი ახლედიანის ოჯახში ვართ და ძველსა და ახალ ამბებს ვყვებით.

ჩვენს შორის არავინაა ქრისტეს, არც მაჰმადის რჯულის მიმდევარი. არა გვაქვს რჯული, თუმცა ურწმუნონიც არ გვირევია. ამ ოჯახის მამა და ხელმძღვანელი — არიფ ახლედიანი, რომელიც სამოცდაათს მიღწეული ვაჟკაცია, — მორწმუნეა. მას სწამს, რომ შრომამ შექმნა ადამიანი. ამ რწმენით იბრძოდა და შრომობდა იგი ათეული წლების მანძილზე და ამავე რწმენით ეგებება ყოველ ახალ დღეს.

მისი მეუღლე, ამ ოჯახის დიდი დედა და მოამაგე აიშეც ქმრის რწმენის მოზიარეა. მას მიაჩნია, რომ შრომამ შექმნა არა მარტო ადამიანი, არამედ მისი ოჯახი და საცხოვრებელ-საბადებელი.

ძირითადად ამ რწმენას აღიარებენ არიფ ახლედიანის შვილები და შვილიშვილები, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელთ რწმენის შესახებ ბევრი არა გაეგებათ რა და ჯერჯერობით კინო, ტელევიზორი და ფეხბურთი არის მათი საყვარელი სარწმუნოება...

მაღალ გორაკზე გადმომდგარი ორსართულიანი სახლის აივნიდან ბათუმი და ლურჯად მოლივლივე ზღვა მოჩანს. ახლო-მახლო ფერდობები და გორაკები ნაირნაირ ნარგავებსა და ხეხილს დაუმშვენებია.

მსხალი და ვაშლი, ხურმა და ლეღვი, მანდარინი და ფორთოხალი მწიფე თუ სიმწიფეში შესული, ჯერ კიდევ მკვახე თუ ახალმოლეული, უცხოური თუ ჩვენებური, შემონერგილი თუ ადგილობრივი ანაზარდი.

ხანში შესულ კაცს ძველის მოყოლა და საუბარი არ დაზარდება, მაგრამ მასპინძელს ჩვენ არ ვაწუხებთ შორეული წარსულის გახსენებით.

მოდი დავიწყოთ ჩვენი დროიდან.

— ოცდაათი წელი იქნება, რაც აქ დავსახლდი, — ამბობს მასპინძელი. — მანამდე ქვემოთ ვცხოვრობდი, ღარიბულ სახლში. ძველთაგან შემორჩენილი ეს სენი კარგა ხანს გვდევდა ფეხდაფეხ, მაგრამ...

გახსენება

განთიადზე ქარი შეწყდა. ბერიკაცმა სარკმელი გააღო და დაინახა თეთრი ღრუბლები, ნელა რომ მიცურავდნენ ცაზე. ქუჩაში ბუნდად გაისმა ვიღაცის ხმა. მერე ფანჯარასთან სიცილით ჩაიარეს გოგონებმა და ბერიკაცი მიხვდა, რომ გათენდა. სარკმლიდან კარგად ჩანდა სანაპირო ქუჩა, ჩანდა შუქურა და ერთმანეთზე ახირხლული აგურის დაბალი სახლები. მეთევზეები კარგახანია გასულიყვნენ ზღვაში. მათი ნავები წერტილებივით ჩანდა თეთრ ჰორიზონტზე.

ბერიკაცმა მიმოიხედა. კარებთან სათევზაო საჭურველი ეყარა: ძუა, ბადე, ანკესი, საკეცი ჭოკები, სპინინგი. ყველაფერზე მტვერი იდო და ყველაფერი ერთად იყო დახვავებული.

ფიქრებში ჩაეფლო.

ბათუმელ მეთევზეებსა და ნავსადგურის მუშებს კარგად ახსოვთ ეს კაცი. საღამოობით, როცა ბურუნ-ტაბიეს კონცხიდან ბრუნდებოდა შინ, ნავსადგურის პირდაპირ, პაწია ყავახანაში იცოდა შევლა. იგი ყველასათვის სასურველი სტუმარი იყო. ვიწრო დახლს იჭით მოფუსფუსე ბერძენი ბერიკაცი საგანგებოდ მოუხარშავდა ყავას, ლამაზ, მოზარინებულ ლამბაქზე დაუდებდა და, დიდი პატივისცემის ნიშნად, თავისი ხელით მიართმევდა.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხავდა.

— რა უჭირს, ყველაფერი რიგზეა. — უპასუხებდა მეშედი, და ყველა ხვდებოდა, რომ ზღვაზე დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

ბათუმელები სიყვარულით „ზღვის ღმერთს“ ეძახდნენ. მაგრამ მანამდე, ვიდრე ბათუმში მაშვილთა სადგური გაიხსნებოდა, მტვირთავი იყო. მერე კი მტვირთავის კურტანი მენავის პროფესიაზე გაცვალა. მისი ნავი განუწყვეტლივ მოძრაობდა, რეიდზე გასულ ხომალდებსა და ნავთსაყუდელს შორის მგზავრები გადაჰყავდა. ხანდახან შტორმშიც აუშვია ღუზა. ზღვა ბორგავდა. აბრუნებდა ნავს და მეშედს, ვინ უწყის, რამდენჯერ ამოუთრევია ფსკერიდან ჩაძირული ჩემოდნები, ჩანთები, ტყავის ტკეცებით სავსე ტომრები, ვინ იცის, რამდენჯერ უხსნია დახრჩობისაგან მთვრალი მეზღვაურები, ცურვით რომ ფიქრობდნენ თავიანთ გემებზე გასვლას.

მეშედ ბედიას ბათუმის ნავსადგურში საუცხოო მყვინთავისა და კარგი მოცურავის სახელი გაუვარდა. ეს გასაგებიც იყო, რადგან მეშედმა საკუთარი ხელისგულივით იცოდა მთელი ბოღაზი, ლოტით გაეზომა და შეესწავლა ყოველი მისი კუნჭული.

ზღვას შეუცნობი, დაუწერელი კანონები აქვს. კარგმა მეზღვაურმა ეს კანონები საკუთარ ალღოს უნდა დაუკვემდებაროს. მეშედივით თითქმის არავინ იცოდა ეს კანონები.

და არავის გაჰკვირვებია, როცა მეშედ ბედიამ ნავსადგურს ზურგი შეაქცია და ახალგახსნილ მაშველთა სადგურში გადაბარგდა.

დილაბნელზე გადიოდა შინიდან. სამსახურს სწორედ მაშინ იწყებდა, როცა ბურუნ-ტაბიეს კონცხზე ნაპირის მეთვალყურე ნავთის ფარანს ჩაჭრობდა და მინის გააღწევდად ფლანელის ნაჭერს მოსძებნიდა. ამ დროს მაშველთა სადგურის თავზე თეთრი ალამი აცურდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ზღვა წყნარი იყო, ცურვა შეიძლებოდა და მაშველი თავის ადგილას იმყოფებოდა.

შუადღისას ნაპირი ხალხით ივსებოდა, წითელხალაბანდწყარული მოხუცი ნაპირზე ამოთრეულ ნავის კიჩოზე იჯდა. იფიქრებდი — თვლემსო. მზისა და მარილისაგან კანი გარუჯოდა, თმა გაუვითლებოდა. აი, დაამთქნარა, გვერდი იბრუნა და ისევ მილულა თვალი, სინამდვილეში კი კარგად აღიქვამდა სივრცეს ტალღისმკვეთიდან თითქმის თეთრ ტივტივებამდე. მისი დაძაბული სმენა იჭერდა ყოველ საეჭვო წამოძახილს და რაოდენი სწრაფი იყო მისი მოძრაობა, როცა წამით ჩამოწოლილ სიჩუმეში ბუნდოვნად ჩაესმოდა დასახრჩობად განწირული ადამიანის ხმა.

ეს ხმა მთელ სიცოცხლეში აწვალებდა მეშედს. ეს ხმა მისი სიცოცხლის განუყოფელ ნაწილად იქცა. მისი ოჯახის წევრებს ახსოვთ, როგორ დგებოდა იგი ქარიშხლიან ღამით, დგებოდა შეშფოთებული; კარგახანს აყურადებდა სარკმელს და ზღვისკენ გარბოდა.

1934 წლის აგვისტოს შემდეგ ბათუმის მაშველი სადგურის საუწყებო წიგნში მეშედის სახელს ალარ გაუპატიანებია. საინტერესოა ამ უკანასკნელი ჩანაწერის ისტორია. პლაჟი დაცარიელდა. მეშედის უფროსმა ბიჭმა — მეჯითმა სადგურის ალამი ჩამოუშვა და ამხანაგებს „ოსვოდის“ კლუბში გაჰყვა. მეშედი კი ბურუნ-ტაბიეს კონცხზე, სათვალთვალო კოშკზე იჯდა და თვალს არ აცილებდა სამ ქალს, ტივტივებისაკენ რომ მიცურავდნენ. ზღვა მუქდებოდა. ქრებოდა ჩამავალი მზის უკანასკნელი შუქი და თავთხელ წყალში პაწია ათასკვებმა მოუბზირეს ბოყირს.

უცებ ქალებს რაღაც მოუსვენრობა დაეტყოთ. მოხუცმა მზერა დაძაბა — აჰა, ერთ მათგანს ცურვა გაუჭირდა. რამდენჯერმე ზღვამ ჩაითრია. მეორე ქალმა, რომელიც გვერდით მიჰყვებოდა, მიშველება იჭქარა. დაღლილმა ქალმა იგრძნო თუ არა ადამიანის სიახლოვე, მაშინვე კისერზე წაატანა ხელი და... წამის შემდეგ მეშედი სწრაფად გარბოდა მხურვალე ქვიშაზე.

ორ ქალს აშკარა დაღუპვა ელოდა. მეშედს ჩამავალი მზით აელვარებული ცა თვალს სჭრიდა.

წითური ქალს ჩჭარა გამოელია ღონე და ახლა ისიც ჩაითრია ზღვამ. მესამე ქალმაც სცადა მიშველება... სცადა... და თვალისდახამხამებაში ისიც სიღრმეში ჩაითრიეს დასახრჩობად განწირულმა მეგობრებმა.

მეშედმა დაყვინთა. ორი ქალი ჩჭარა იპოვნა, მაგრამ მესამე? რა უნდა უყოს მესამეს? დინებას შეეძლო სწრაფად გაეყვანა შორს. მეშედმა ორივე ქალი ტივტივას მიაბა, უზარმაზარ ტივტივას, რომელიც ჯაჭვის ცალი ბოლოთი ნაპირზე იყო დამაგრებული.

მასპინძელმა თვალი მოავლო თავისი ოჯახის ავლადიდებას და კმაყოფილმა შემოგვხედა.

— მუყაითმა და თავდადებულმა შრომამ სხვა სენთან ერთად სიღარიბე და უჭონლობაც მოგვაშორა და დღეს...

ბედნიერია არიფ ახვლედიანისა და მის ბედში მყოფი ოჯახები.

სხვა ქონებასა და დოვლათთან ერთად შვილებიც მომრავლებია არიფის ოჯახს.

ნაზიკო, აზიზი, ნიაზი, ზია, ლეილა, რევაზ, — აი მათი სახელები.

ნაზიკო ექიმია, ქმარშვილიანი. შობლების ოჯახიდან კარგა ხანია გავიდა. სხვის ოჯახს ერძლო და ეშვილა, მაგრამ სამაგიეროდ ორი რძალი შემოემატა და შვილად გაუხდა. კიდევ ორ ასეთ შვილს ელოდება ეს ოჯახი და იმედი აქვს დიდხანს არ გასტანს ეს მოლოდინი.

ეთერისა და ლილის მსგავსად გაახარებენ ახალმოსული რძლები ბედნიერ მშობლებსა და ახალ თაობას მოამრავლებენ.

აზიზ ახვლედიანი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკი.

ნიაზს ბავშვობიდანვე თეატრალური ხელოვნება იტაცებდა, ამიტომაც მსახიობობა აირჩია და თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა.

ზიამ სოფელი არჩია, მისი წინაპრებიც ხომ მიწათმოქმედნი იყვნენ: თესავდნენ, მკიდნენ, ამყნიდნენ, რგავდნენ, სხლავდნენ, ბაღსა და ბაღჩას ამშვენებდნენ. ზიამაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მიაშურა.

ლეილამ ახალი თაობის აღზრდის საქმე ამჯობინა და ამ დარგში მოღვაწეობს. მას უმცროსი ძმაც არ ჩამორჩა და იძანაც პედაგოგობა მოიწადინა.

სხვადასხვა დარგი, სხვადასხვა საქმე გაიხადეს არიფ ახვლედიანის შვილებმა პროფესიად...

ეზოში მსუბუქი მანქანა შემოსრიალდა და სახლის წინ დადგა. იქიდან გამოსული ნორჩი და მხიარული თაობის ჟრიამულმა კარმიდამო აახმიანა.

დიანა, დალი, რაული, მედიკო, დოდო... ჯერ ბებიასა და ბაბუას მიაშურეს, მიესალმნენ და მიუალერსეს, შემდეგ ჩვენი გაცნობა მოისურვეს და პატარა ხელები შემოგვაგებეს.

ახლა უკვე აქ იყო მთელი ოჯახი. ჩვენი ფოტოკორესპონდენტიც მოემზადა სურათის გადასაღებად.

—აჯობებს სახლში, ზემო სართულზე, — ამბობს ოჯახის უფროსი და თავის ჯალაბობას წინ მიუძღვება.

დღე მიილია. დაბინდდა. ელნათურები აცმაცმდა. და ჩვენც დავტოვეთ ამ მსუყე სოფლის სახლი და ეზო გურამიშვილის ქუჩაზე...

პარმენ ლორია.

სურათზე:

კურორტი ქოგულეთი, ფიჭვნარში, ზღვის ნაპირას.



დაყვინთა, ამაოდ. ისევ დაყვინთა და იპოვნა მესამეც — წითურა. მაგრამ ახლა რომელი გაეყვანა პირველად ნაპირზე? რა თქმა უნდა, ორნი — ტივტივაზე რომ ჰყავდა გამობმული. ისინი წითურაზე მეტხანს იყვნენ ფსკერზე და წყალსაც ბლომად ულაპავდნენ.

ქალებს თმაში ჩაავლო ხელი და ნაპირისაკენ დაიძრა. მის შესაგებებლად ვიღაც ჭაბუკი წამოვიდა. მეშვიდმა ორივე ქალი მას ჩააბარა და უკან გაბრუნდა. მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ დაიღალა. ბებერ მკლავებს ზღვა ეურჩებოდა, ბორგავდა. მეშვიდმა ღრმად ამოისუნთქა, ნესტოები დაბერა და ყვინთვით გაემართა ტივტივისაკენ.

ცოტა ხნის შემდეგ იგი უკვე ნაპირზე იყო. მაგრამ თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, როგორ უმოწყალოდ დაუეჟა წყალმა. წყალი აღარ იყო ძველებურად ალერსიანი და ნაზი. იგი ახლა ხეშეში და ქვასავით მაგარი იყო. ისევ ის უცნობი ჭაბუკი მიეშველა. მეშვიდე მძიმედ სუნთქავდა. ნაპირზე შეგროვილ ხალხს მითითებას აძლევდა. ვიღაცამ მისი განუყრელი ხილაბანდი მოუტანა. მოხუცმა მფეთქავ მკერდზე მიიდო იგი. თან უყურებდა, როგორ დასტრიალებდნენ უკვე გადარჩენილ ადამიანებს თეთრხალათიანი ექიმები.

ხიფათიანი და საპატიო მაშველის პროფესია. მაგრამ ამ მამაცურ საქმიანობაში მაშველის მტერი მარტო ზღვა როდია. მტერი თვითონ წყალწაღებულიც არის. უყრნალ „ვ ზაშჩიტუ მირას“ 1954 წლის ცნობით მეშვიდემ თავისი სიცოცხლის მანძილზე 4.016 კაცი გადაარჩინა დახრჩობას. და მერე, თვითონ რამდენჯერ იყო სიკვდილის პირისპირ!

4.016 კაცი!

ახლანდელ მაშველებს მსუბუქი საყვინთავი კოსტუმები აქვთ. მათ შეუძლიათ დიდხანს იყვნენ წყალქვეშ. მაგრამ წინათ, როცა მეშვიდე ბედია იდგა მაშველის პოსტზე, რა თქმა უნდა, ასეთ „ფუფუნებას“ მოკლებული იყო.

ამას წინათ ბათუმში ვიყავი. ვესაუბრე მაშველი სადგურის ძველ მუშაკებს. მათ ბევრი საინტერესო ამბავი მიამბეს მეშვიდ ბედიაზე. განსაკუთრებით სიყვარულით იხსენიებენ მას ძმები მურად და ასლან ბერიძეები, რომლებიც, ხანდაზმულობის მიუხედავად, კვლავ მაშველის სადარაჯოზე დგანან.

იმ წლებში მეშვიდს ძალზე ბევრი მომდევარი გაუჩნდა. მან შექმნა მაშველთა საუკეთესო სკოლა. ამ სკოლის აღზრდილები არიან ნიკოლოზ კრიტინინი, გიორგი სიხარულიძე (სამამულო ომში დაიღუპა), იანგო გრამატიკოპულო, ანდრეი გეტიმიდი, აკაკი შოშიტაიშვილი, მიშა სიმვულიდი და სხვები...

ახლა ჩვენში იშვიათია ადამიანი, რომელსაც ცალი ყური მაინც არ მოეკრა იმ ამბისათვის, რომ რომელიღაც ქართველმა კაცმა ბათუმიდან ფოთამდე გაცურა. და გაცურა მანამდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე ფრანგი მეფუნთუშე მიშელი ლამანშს გადაჭვეთდა.

მეშვიდ ბედია მუდამ ღიმილით იგონებდა იმ დროს. იგონებდა, როგორ შეხვდნენ ნახევრად მოყინულსა და გაძაგრულს მეფის ჯარისკაცები, ფოთში რომ იდგნენ... მაშინ ჯარისკაცებს აზრადაც არ მოსვლიათ, თუ უნებურად პირველი მსოფლიო რეკორდის მოწმენი იყვნენ შორ მანძილზე ცურვაში.

დიახ, ეს რეკორდი ეკუთვნის ჩვენს თანამემამულეს — მეშვიდ ბედიას. ამ რეკორდზე ერთი-ორჯერ კიდეც დაიწერა, მაგრამ დაიწერა და მეტი არაფერი...

და განა შეიძლება დავიწუებულ იქნას ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ადამიანთა სიცოცხლეს ედგა დარაჯად, ადამიანი, რომელიც 1926 წელს „წყალწაღებულთა გადარჩენისას გაწეული მამაცობისა და გმირობისათვის“ ოქროს პირველი ნომერი მედლით, ხოლო, ორი წლის შემდეგ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვეს.

იგი მოკვდა თხუთმეტიოდე წლის წინათ, 102 წელს მიტანებული. ამბობენ, რამდენიმე დღით ადრე ზღვასთან უნახავთო, თურმე მოლივლივე ტალღებს გაჰყურებდა, ჩუმი შრიალით რომ იშლებოდნენ ნაპირზე. ეს შხუილი განვლილ ცხოვრებას აგონებდა. მისი ცხოვრება კი ზღვასავით უსაზღვრო და ლამაზი იყო.

გიორგი სანადირაძე.

საქართველოს სსრ სახ. საბ. სანელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

რა დამავიწყებს!

უცხოელის თვალით

ძნელია ლაპარაკი იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც ჩემზე მოახდინა ქალაქმა ბათუმმა და ულამაზესმა მხარემ აჭარამ.

სულ რაღაც რვა დღე ვიყავი სტუმრად, შთაბეჭდილება კი იმდენია, თითქოს ნახევარი წელი მაინც გამეტარებინოს აქ.

შემიძლია გულახდილად გითხრათ, რომ არასოდეს დამავიწყდება ბათუმი და აჭარა. მაინც როგორ დავივიწყებ კაცი (მით უმეტეს ჩრდილოეთში მცხოვრები) თქვენს გასაოცარ ბუნებას, შავი ზღვის სანაპიროსა და ბათუმის თავისებურ რელიეფს. მე ბევრი კუთხე მომივლია და მინდა გითხრათ, რომ აჭარა ერთ-ერთი ულამაზესთაგანია.

როგორ დამავიწყდება ამ მშვენიერი მიწა-წყლის მკვიდრნი, შავთვალა ლამაზი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც მუდამ მხიარული და პირმცინარე არიან. ჩემი გული დაატყვევა გამვლელთა ღიმილმა. და მე მივხვდი, რომ ქართველები საოცრად ჰუმანური ხალხია, ხოლო უცხოელების მიმართ ზრდილობიანი მოპყრობა, ხელოვნურად გამომუშავებული კოკეტობა კი არა, თქვენი უძველესი კულტურის დამახასიათებელი თვისებაა. ეს კაცთმოყვარეობა, ღიმილი ის მაგნიტია, რომელიც მუდამ მიიზიდავს უცხოელ ტურისტებს.

მე და ჩემი პოლონელი მეგობრები გავხარა ბავშვებზე ზრუნვამ, რასაც თქვენში ფეხის ყოველ გადადგმაზე ვგრძნობთ. თქვენ ხომ კარგად იცით, როგორ მხეცურად გვჟლეტდნენ ფაშისტები უკანასკნელი ომის დროს. ბავშვები, ახალგაზრდები ჩვენი სამშობლოს მომავალი არიან. ძალღონეს არ ვიშურებთ, რათა ღირსეულად აღვზარდოთ მომავალი თაობა. ეს ჩვენი დიდი საზრუნავია. ამიტომ განსაკუთრებით გვაინტერესებს, როგორ იღზრდება ახალი თაობა მომძლე სოციალისტურ ქვეყნებში. ჩვენ დავათვალიერეთ ბავშვთა ბაგები და ვნახეთ, თუ როგორი ყურადღებით ექცევიან აქ პატარებს. ეს ნამდვილად მშობლიური სიყვარულია. ასევე დიდად ზრუნავენ ნორჩებზე თუნდაც პარკში სეირნობის დროს. ახალგაზრდა აღმზრდელები თვალს არ აშორებენ ნორჩებს. ყოველივე ეს გვახარებს და ნუგეშით გვავსებს. პიონერთა პარკი დასვენებისა და შემოქმედების სიმბოლოა.

მართლაც რომ საყვარელია ბათუმის თეატრი. მე ვნახე რამდენიმე სპექტაკლი და მინდა გულწრფელად მივულოცო თეატრს, რომ მისი შედარებით მცირე კოლექტივი ყოველ წარმოდგენაში აქვს დიდ ენთუზიაზმს. ვიგრძენი, თუ რა სერიოზულობით ეკიდება კოლექტივის თითოეული წევრი თავის საქმეს. ეს კარგად ჩანს თუნდაც ეპიზოდური როლების მაგალითზე. ჭეშმარიტად დიდი სამუშაო აქვს თეატრს, რომელიც სეზონში რვა პრემიერას უჩვენებს მაყურებელს. ამას დაუმატეთ შემოქმედებითი, კულტურული და იდეოლოგიური პასუხისმგებლობა. თქვენი თეატრი კიდევ იმიტომ აღელვებს მაყურებელს, რომ გარს შემოიკრიბა ადგილობრივი მწერლები და მათ პიესებს დგამს. მართლაც რომ მისასალმებელი თანამშრომლობაა. მე წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ აჭარაში ამდენი ნიჭიერი დრამატურგი იქნებოდა. აქედან ჩანს, რომ კოლხეთს არ დაუკარგავს ოქროს საწმისი — ესაა თქვენი მწერლების, მსახიობების, მხატვრების უძვირფასესი ნიჭი. ვიმედოვნებ, რომ კიდევ უფრო გაიზრდება კულტურული კავშირი პოლონეთსა და საქართველოს შორის, მომავალში ჩემი თანამემამულენი უკეთ გაეცნობიან თქვენი მწერლების შემოქმედებას. სასიამოვნო იყო, როცა ჩემი კოლეგებისაგან გავიგე, რომ ქართველებმა საკმაოდ კარგად იციან პოლონური ლიტერატურა და ჩემი ქვეყნის ისტორია, რომელიც თქვენსას წააგავს. მე ბევრი ველაპარაკე ამის თაობაზე თეატრის დირექტორს შ. დავითაძეს.

კიდევ ბევრი საინტერესო რამ ვნახე და განვიცადე თქვენთან. უაღრესად საინტერესოა ობიექტები, რომელსაც „ინტურისტი“ სთავაზობს ტურისტებს. მე ბევრი მიმოგზაურია საბჭოთა კავშირში და ყველგან „ინტურისტი“ ტურისტების ნამდვილი მეგობარია. მაგრამ ბათუმის „ინტურისტის“ მიმართ ცოტა მეტი მინდოდა მეთქვა. ის დიდი ყურადღება და ზრუნვა, რასაც „ინტურისტის“ თანამშრომლები უთმობენ ტურისტებს, რამდენადმე ანაზღაურებს მზიანი ამინდების ნაკლებობას ბათუმში. ვნახე თქვენი გასაოცარი ბოტანიკური ბაღი. ვარშავიდან მარტო იმისათვის ღირს ჩამოსვლა ბათუმში, რომ ამ ბაღში გაიარო. დაბოლოს დავათვალიერე სიმღერად ქცეული „ბათუმის ჩაის პლანტაციები“, და შესაძლებლობა მომეცა შემედარებინა იგი ინდოეთისას.


ყურადღებით ვაკვირდებოდი ბათუმის ყოველდღიურ ცხოვრებას. მახარებს თქვენი ქარხნების ნახვა, თქვენი მუშების კულტურული, შეძლებული ცხოვრება. ბათუმი ხომ მარტო ბაღები და პარკები არაა. ესაა ნავსადგური და ბათუმიდან დაწყებული გლინიამდე და შტეტინამდე ვაშენებთ ერთიან სოციალისტურ სამყაროს.

მაპატიეთ, რომ ყველაფერზე ვერ დავწერე. მაგრამ ვიმედოვნებ კიდევ ჩამოვალ ბათუმში. ვწერ წიგნს „პოლონელები კავკასიაში“. ამიტომ კვლავ მომიხდება თქვენთან ჩამოსვლა.

ჯერჯერობით კი თან მიმაქვს თქვენი მთა და ბარის ფოტოები და როგორც პოეტი ამბობს „გიშერზე უშავესი თვალების მოგონება“.

ლიუბომირ რუგახი,
პოლონელი პუბლიცისტი.

სურათზე: სცენა ბათუმის თეატრის სპექტაკლიდან „ზღვა და სიყვარული“. პიესის ავტორია ბათუმელი დრამატურგი ა. სამსონია.



მაღლა, მთაში...

ლამაზია სოფელი მახო, მთებში ჩაკარგული, მარადმწვანე ტყეებში ჩაფლული. აქ შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. აქ ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი შრომის შემდეგ დასვენებისათვის. ვისაც კულტურული გართობა უყვარს, მას კეთილმოწყობილი კლუბი და ბიბლიოთეკა ემსახურება.

უკვე რამდენიმე წელია კლუბს უნარიანად ხელმძღვანელობს ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული რევაზ თავართქილაძე.

კლუბში მხატვრულ ფილმებს გარდა მაყურებელს შეუძლია ნახოს მეცნიერულ-პოპულარული, დოკუმენტური, სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ფილმებიც.

სოფლის ახალგაზრდობის უმრავლესობა კლუბთან არსებულ წრეებსა და სპორტულ სექციებშია გაერთიანებული. ნაყოფიერად მუშაობს მოცეკვავეთა გუნდი, რომელსაც ქორეოგრაფი ი. ხალვაში ხელმძღვანელობს. გუნდში გაერთიანებულია 20-მდე ახალგაზრდა. მის პროგრამაშია ცეკვები „ხორუმი“, „ლაზური“, „განდაგანა“ და სხვ.

კლუბში ხშირად ეწყობა თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები შრომისა და სამამულო ომის ვეტერანებთან და სხვ.

საღამოობით მუდამ ხალხმრავლობაა ბიბლიოთეკაში, სადაც 4 ათასამდე წიგნია. მკითხველს შეუძლია ისარგებლობს პოლიტიკური, მხატვრული, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით.

იზრდება წიგნადი ფონდი და მკითხველთა რიცხვი. ასე, მაგალითად, თუ შარშან ბიბლიოთეკას 350 მუდმივი მკითხველი ჰყავდა, წელს 400-ზე მეტია.

ბერიკაცი

სოფელს მაღალი მთები აკრავს. ხოლო სულ დაბლა, ბორცვზე სკოლის შენობა მოჩანს. ერთ მხარეს კლუბ-კანტორის ახალი შენობაა, მეორე მხარეს საძოვრები. ბერიკაცი ჯირკზე ზის, ჯოხს დაყრდნობია და საქონელს უყურებს. უცხონი რომ შეგვნიშნა, სწრაფად წამოდგა, შემოგვეგება. მალე საუბარიც აეწყო.

— მე ასე ვიტყვი, — დაიწყო ილიას ხმალაძემ, — ასათი წელი ჩემი დალოცვილი სოფლის სილამაზემ და სიკეთემ გამაძლებინა ქვეყანაზე. ამ ხანს ისე მივატანე, ჯერ ავად არ გავმხდარვარ. წამლის გემოც არ ვიცი.

სამწყესურში თანამოსაუბრე ყოველთვის სასიამოვნოა და მოხუცსაც უხარია, რომ მარტო არ შერჩა ამ მდელოს.

— ბაბუ, ალბათ ბევრი რამ გაქვს წარსულიდან ტკბილად მოსაგონარი, — ვეკითხებით.

— რას ამბობთ, შვილებო, — ხელს იქნევს ილიასი, — ჩემი ცხოვრების ნახევარმა

ილია — გათუმის სტუმარი

შავი ზღვის მოლივლივე ტალღები გირლიანდებად ევლებიან სანაპიროს, პეტრას ციხის მაღალი კედლები პირქუშად გადაჰყურებენ ქშენითა და რახრახით მიმავალ მატარებელს, ილია ფანჯარაში იცქირება და გვერდით მჯდომი დავით კლდიაშვილის საუბარსაც უსმენს.

— მუჰაჯირობამ ზიანი მიაყენა აჭარას, კოლონიზატორები ნაყოფიერ მიწებს მუქთად იგდებენ ხელში; აი ამ მიწებს რომ ხედავ, ბატონო ილია, ვიღაც გადამთიელი დალფონსი დაპატრონებია, უფრო ქვემოთ, ჩაქვის მიდამო გაიძვერა ნოტარიუსმა გრიელსიმ დაიპაკუთრა, მუჰაჯირობას თუ ბოლო არ მოეღო, ეს კუთხე განადგურდება! — გულდაწყვეტით ამბობს დავითი და ილიას შეჰმუხვნილ შუბლს შეჩერებია.

— მართალს ამბობ, მაგრამ, ვფიქრობ, მალე მოეღება ბოლო მუჰაჯიროობას. დიდად გავლენიანი არ უნდა იყოს ოსმალთა აგენტების ქადაგება, ჩვენი ხალხი უსამშობლოდ ვერ გაძლებს... მთავარია ჩვენ მოვიქცეთ გონივრულად, რომ ამ ტანჯული ძმების კარმიდამო კოლონიზატორებს ხელში არ ჩაუვარდეს.

— რასაც თქვენ ბრძანებთ, ხვალინდელ არჩევნებზე დიდადაა დამოკიდებული!

— ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღეც! — ხანმოკლე დუმილის შემდეგ წარმოთქვა ილიამ.

მატარებელმა ბათუმის სატვირთო სადგურს მიაყურა. დავითმა ფარაჯა გადაიცვა და ილიას პალტოს ჩაცმაში მიუშველა.

— გიორგი წერეთელი მეუბნებოდა, მოედანზე რკინიგზის ახალი სადგური ავაგეთო! — ჩაილაპარაკა ილიამ.

— დიახ, ორიოდე წუთში ნახავთ! შიუგო დავითმა.

მატარებელი ნელა შევიდა ქოხმახებით დაფარულ ქალაქში, თათრის ბაზარს გასცდა და აზიზიეს მოედნისაკენ გაუხვია. ირგვლივ ტალახი და ჭონჭყო, თხმელა და ჯაგნარი იყო. ილიაც ტბისაკენ იცქირება, მაგრამ ვერ ამჩნევს (იქ, სადაც ახლა კათოლიკების ეკლესიაა, იმ დროს ტბა იყო). ტბის მაგივრად ქვებისა და ხრეშის გორაკებია აზვინული. აქა-იქ წინსადგრებზე დაყენებული ურმები მოჩანს, იქვე თხმელის მორები ყრია. მარჯვნივ პატარა ფარდული კვამლშია გახვეული.

— ტბა ამოუშრიათ! — იღიმება ილია.

— ზუბალაშვილი ქართველი კათოლიკებისათვის ტაძარს აგებს!

— გიმნაზიის შენობის აგებაზე ვერ დაიყოლიეთ?!.

— გრიგოლ ვოლსკიმ და ივანე მესხმა ბევრი უჩიჩინეს, მაგრამ კათოლიკურმა სარწმუნოებამ თავისი გაიტანა!.

მატარებელი ვოგზლის ბაქანზე გაჩერდა, ილია და დავითი ვაგონიდან ჩამოვიდნენ. ილია სადგურის შენობას მიჩერებია.

— დროებით გამოდგება, შემდეგ სხვა უნდა ავაგოთ! — ამბობს ილია და ზღვა ხალხში მიაბიჯებს.

პატარა ბაქანი ხალხს ვერ იტევს. წინ გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი და მელიტონ ლორთქიფანიძე დგანან, მათ გვერდით ჯობს დაბჯენია გულო-აღა კაიკაცაშვილი. ილია ყველას სიყვარულით ესალმება, გულო-აღასა და ძმებს ხიშიაშვილებს გულში იკრავს, სანჯაყ ბეგ აბაშიძესა და ბეყანიძეს სიყვარულით მოიკითხავს, მანდილოსნებს თავაზიანი სალამით მიმართავს და ეტლში ჯდება. დავითი და ივანე თავიანთ ოჯახებში უპირებენ წაყვანას ილიას, მაგრამ სტუმარს გრიგოლ ვოლსკის ბინა ურჩევნია. გრიგოლთან შეჩვეულია, ჯერ იქ დაისვენებს და შემდეგ სხვებსაც ეწვევა.

* * *

მარინეს ქუჩაზე, ერთსართულიან დაბალ შენობაში, გრიგოლ ვოლსკის ორი ოთახი უჭირავს. დღეს დიდ ამბავშია გრიგოლის მსახური ივანე გოგეშვილი. იგი გვერდში ამოსდგომია დურმიშხან ყურულის მეუღლეს — ქეთევანს და მაგიდის გაწყობაში ეხმარება.

— ბორჯომის წყალი ხომ არ დავაგვიწყდა, ივანე, ილიას ბორჯომის წყალი უყვარს!

— ვიცი, ქალბატონო ქეთევან, გუშინ მოვიმარაგე, ილია ჩვენთან პირველად ხომ არ არის!

ამ დროს გვერდით ოთახში სხედან: ილია, დავითი, გრიგოლი, ივანე მესხი და მელიტონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვოლსკი ილიას არჩევნებისათვის მზადებაზე ებაასება.

— ბატონო ილია, ბატონებო, აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ როდენ აუტანელია უსამართლობა ადგილობრივ მკვიდრთა მიმართ. ამის აღსაკვეთად საჭიროა ქალაქის თვითმმართველობაში ჩვენი ხმოსნების, ადგილობრივი წარმომადგენლების არჩევა. საქმისათვის დაგვჭირდა სანდო პირების მონახვა, ჯერ მათი შეჯგუფება, შემდეგ ნელ-ნელა გათიშვა, მომხრეთა სიფრთხილით მონახვა, თანაც მომხრეთა დაჯერება, რომ გამარჯვება მიღწეული იქნება. ეხლა კი თანამოზიარეთა რიცხვი საკმაოდ შევქმენით, მივალწიეთ ბერძენი ამომრჩევლების შემოერთებასაც! — დააბოლავა გრიგოლ ვოლსკიმ.

— ბატონო ილია, ჩვენი გრიშა დიპლომატის ნიჭითაც გამოირჩევა! — იხუმრა დავით კლდიაშვილმა.

საქმის ვითარებით ილია კმაყოფილი დარჩა. იგი სავარძლიდან წამოდგა, ყრუდ ჩაახველა, გაბრწყინებული თვალები მეგობრებს მოავლო და გახარებულმა თქვა: დიახ, ბატონებო, საქმის ვითარება და მიზნები ჩინებულია. ადგილობრივ მკვიდრთა ხმოსნებად წამოყენება ბრწყინვალე აზრია. უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენს ახლადშემოერთებულ და-ძმებს, რომ ისინი არიან ამ კუთხის პატრონი და არა ის გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა, რომელიც ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია, ხომ ხედავთ, საცა სამსახურიდამ გამოგდებული კაცი იყო... საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზეხელაღებული — მოხელეობა აქ მიიღო... აბა რა კეთილს დააყრიდა ისინი აჭარლებს, თქვენს იმერ წამოყენებული საქმე სამართლიანია და საქმეყენო, ღმერთსა ვთხოვოთ მისი კარგად დაბოლოება!

— ბატონებო, თუ ხელს არ შეგიშლით, სუფრასთან მობრძანდით! — გაისმა ამ დროს ქეთევან ყურულის ხმა. მერე ძვირფასი სტუმარი მადიანად შეექცეოდა ნუკბარ კერძს. ქეთევანმა ჩოგნურის სიმებიც დაარხია და სუფრა გამხიარულდა, დავით კლდიაშვილი და გრიგოლ ვოლსკი ჩინებულად ხუმრობდნენ.

— ბატონო ილია, ურჩიეთ გრიგოლს, მოეკიდოს ცოლშვილს, როდემდის უნდა სხვისი ცოლები იმსახუროს სუფრის გაწყობაში! — ეუბნებოდა ლორთქიფანიძე.

— კი მაგრამ, მე რა ვარ?

— საქართველოს მამას გიწოდებენ!

— მე საკუთარი შვილი ვერ გამიჩენია და საქართველოს მამობა როგორ უნდა გავწიო, — უპასუხებს ილია მელიტონს და სიცილი დიდხანს არ წყდება.

ნასადილევს ილიამ თავისი დაარსებული სკოლის დათვალიერება ისურვა. გრიგოლ ვოლსკი თან გაიყოლა. დავით კლდიაშვილმა კი თავის ლეგონს მიაშურა.

* * *

მასწავლებელ ალექსანდრე ნანეიშვილის სიხარულს საზღვარი არ აქვს, იგი მოკრძალებით ათვალიერებინებს ილიას საკლასო ოთახებს. თვალებგაბრწყინებული შეგირდები ფეხზე ამდგარან და ისე შესცქერიან შავფრაკიან, შუბლგახსნილ, ჩაფსკვნილ მამაკაცს. აი, მერხთან შეჩერდა ილია, შავგვრემან ბიჭუნას მხარზე ხელი დაადო და ეკითხება:

— რა გვარისა ხარ, ვაჟკაცო?

— აბაშიძე!

— რა გქვია?

— ჰაიდარი!

— შენ ყმაწვილო? — ახლა მეორეს მიუბრუნდა მწერალი.

— ეს ისმაილ ბეყანიძეა, — ასწრებს მასწავლებელი.

სკოლის დათვალიერებით ილია კმაყოფილი დარჩა. ნანეიშვილთან დიდხანს ისაუბრა და შემდეგ საკრებულოსაკენ გასწია.

* * *

ქალაქის საკრებულო, რომელიც ახალგაზრდებულ „ბულვარის“ დასაწყისში დგას, არაჩვეულებრივადაა გაჩირაღდნებული. დარბაზს ორსართულიანი კანდელი ანათებს. ყვავილებით შემკულ მაგიდასთან სხედან: ილია ჭავჭავაძე, გუბერნატორის მოადგილე და საარჩევნო კომისიის წევრები. ამომრჩევლები ჯგუფ-ჯგუფად შედიან დარბაზში. ისმის გულწარმტაცი ქართული მელოდიები. ილია თვალს ადევნებს არჩევნების მსვლელობას.

აი, დროც მიიწურა. ყუთი გახსნეს, საარჩევნო ბიულეტენები დაათვალიერეს და ქართველები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ. ახლა ქალაქის თავის კანდიდატურის შერჩევას შეუდგნენ: ილიამ ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის ლუკა ასათიანის კანდიდატურა დაასახელა. წინადადება ერთხმად მოიწონეს. თანხმობის მისაღებად ქუთაისში დავით კლდიაშვილი და სანჯაყ-ბეგ აბაშიძე წავიდნენ. მეორე დღეს ასათიანის დასტურიც ბათუმში გაჩნდა.

საკრებულო დარბაზი ხმოსნებითაა გაჭედილი. ილია სავარძლიდან წამოდგა და დამსწრეთ ლუკა ასათიანის არჩევისათვის მოუწოდა, მაგრამ ეს არ იყო უბრალო მოწოდება, ეს იყო სიტყვისა და მჭერმეტყველების ზეიმი, აზრის არაჩვეულებრივი შთამაგონებელი ძალა. დაუვიწყარ და განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენდა დიდი ილია, მისი აღფრთოვანებული სახე, ანთებული თვალები გაგრძნობინებდნენ, თუ რა სულიერი და ჭკუის ძალა, რა ენერგია იყო მის დიდებულებოვან, ჯანსაღ, შეუდრეკელ ახეულში.

დავით ნაცვალაძე.



სანაპიროზე.

ტყუილუბრალოდ ჩაიარა. ბოლო ორმოცდაათი წელია, რომ თვალები გამახელინა. მინდა სულ ვიცოცხლო, რაც ქარგია, ყველაფერი ხალხისათვის კეთდება. უწინ კი, აბა, რა ცხოვრება იყო. ფეხით უნდა ჩავსულიყავი ბათუმში, რომ ნავთი, საპონი, მარილი გვეყიდა და შინ ზურგით წამოგველო, ისიც მახსოვს, ჯემალ ბეგი რომ ამოვიდოდა სოფელში და თავისთან სამუშაოდ წაგვიყვანდა. შრომას კი არასოდეს აგვინაზღაურებდა.

— სწავლა თუ მოახერხე, ბაბუ? — არ ვეშვებით.

— სწავლას რა მოხერხება უნდა, შვილებო, მასწავლებელი ყოფილიყო თორემ... ერთი ხოჯა „გვასწავლიდა“ მთელ სოფელს არაბულ ენაზე. რას ვსწავლობდით, არცერთმა არ ვიცოდით... ქართული წერა-კითხვა მაშინ ვინ იცოდა! მხოლოდ საბჭოთა მთავრობის ხელში ვისწავლე ქართული წერაცა და კითხვაც.

— ბადიშები თუ გყავს?

ამაზე მოხუცს ეღიმება, ერთიანად უნათდება სახე.

— ბადიშები მართლაც რომ სახელოვანი დამეზარდნენ. აგერ ერთი — ნოდარი დაუსწრებლად სწავლობს უმაღლესში და ჩვენს სკოლაშიც ასწავლის ქიმია-ბიოლოგიას. ახლა სოფლის ხუთწლიან სკოლაში ასოცი მოსწავლეა, ამბობს ჩემი ბადიში. თორმეტი მასწავლებელი გვყავს — და ყველა ადგილობრივი მკვიდრია, სკოლის დირექტორადაც აქაური კაცია.

უსმენ ამ ენაწყლიან მოხუცს და არ გჯერა, რომ მან საუკუნეს გადააბიჯა. გვიყურებს, თუთუნს აბოლებს და ეშმაკურად აჟუკჟუკებს თვალებს. ასეთი ენერგია და მახვილი ენა ბევრ ახალგაზრდას შეშურდება.

გ. თურმანიძე.

სოფელი პაქსაძეები.

დაგეძებენ, მოგელიან

რევაზ ალექსანდრეს-ძე ტალახაძეს, დაბადებულს 1916 წელს გორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში, ეძებს დედა — ევა იგორის ასული ტალახაძე.


დიმიტრი (მიტო) ზაქარიას-ძე ალადაშვილს, დაბადებულს 1913 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში, ეძებენ დედა — ოლია, მამა — ზაქარია, დეგი — გაგული და დარიკო ალადაშვილები.

ვარლამ ევგენის-ძე აბაშიძეს, დაბადებულს 1904 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ჭითელხევში, ეძებს და — ვარვარა (ბაბო) ევგენის ასული აბაშიძე.


ავთანდილ ვასილის-ძე ნინიკაშვილს, დაბადებულს 1919 წელს ქ. თბილისში, ეძებენ დედა — ეფემია ზაქარიას ასული, მამა — ვასილ იაკობის-ძე ნინიკაშვილები.

დიმიტრი მიხეილის-ძე ცუცქირიძეს, დაბადებულს 1921 წელს სურამში, ეძებს ძმა — მიხეილ ცუცქირიძე.

სურათებზე: რ. ტალახაძე (ზემოთ), დ. ალადაშვილი.







ქ. ბათუმი, პორტი.

სპორტული მიმოხილვა

ჩემპიონები

წინა ნომერში ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ შესაძლებელი იყო თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები ჩემპიონები გამხდარიყვნენ. ეს ასეც მოხდა. **პირველობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მათ გაინაღდეს ოქროს მედლები.**

თბილისის „დინამო“ სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — 1950, 1953 და 1954 წლებში, სამჯერ 1949, 1950, 1951 წლებში მოიგო თასი, ხოლო 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, ამაზე დიდი მიღწევები ჩვენს კალათბურთში მხოლოდ ორ გუნდს აქვს, მოსკოვის ცსკა-სა და რიგის სკა-ს.

1937 წლიდან მოყოლებული და ომისშემდგომ წლებში გარდა პირველი ადგილებისა დინამოელები სამჯერ იყვნენ ვერცხლის მედლების მფლობელნი, ოთხჯერ ბრინჯაოსი, სამჯერ გავიდნენ მეოთხე ადგილზე, ხუთჯერ მეხუთეზე და მხოლოდ ერთხელ მეათეზე.

სასიამოვნოა, რომ ამ ახალ გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა დებიუტანტმა-მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ლევან ინწკირველამ**, რომელიც წლების მანძილზე იცავდა „დინამოს“ ღირსებას, იზრაირებდა გუნდის წარმატებებსა და წარუმატებლობას. სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ინწკირველი მათთან ერთად თამაშობდა ვინც ახლა გუნდის უფროს თაობას წარმოადგენს, მისი ავტორიტეტი როგორც მოთამაშისა ყოველთვის მაღალი იყო, მაგრამ ვგონებ მისი ავტორიტეტი როგორც მწვრთნელისა, უფრო მტკიცეა.

დავუბრუნდეთ ბოლო მატჩებს. სვერდლოვსკსა და მოსკოვში („ურალმაშთან“, ცსკა-სთან) დინამოელებმა თითო თამაში მოიგეს და თითო წააგეს. თბილისში რომ დაბრუნდნენ მათ 40 მატჩში თორმეტი ქულა ჰქონდათ დაკარგული, უახლოეს კონკურენტებს — ლენინგრადის „სპარტაკსა“ და კიევის სკა-ს 14-14 ქულა. ამასთან ეს ორი გუნდი კიევში უნდა შეხვედროდა ერთმანეთს. ამ გუნდების ორთაბრძოლამ ვერ გამოავლინა უძლიერესი, ერთი მატჩი მოიგო სკა-მ, მეორე „სპარტაკმა“. მაშასადამე დარჩენილ 4 შეხვედრაში თბილისელებს ორი ქულა უნდა აეღოთ მხოლოდ.

რიგის „ვეფი“ გამოცდილი კოლექტივია, ამასთან თბილისელთათვის ძნელი მეტოქე იყო ყოველთვის. ადვილი გასაგებია თუ რა აჟიოტაჟი გამოიწვია ამ მატჩმა. თბილისის სპორტის სასახლე სავსე იყო. მეტოქე საბრძოლოდ იყო განწყობილი. პირველ შეხვედრაში ანგარიში თავიდანვე „დინამომ“ წაიყვანა და ინიციატივა ბოლომდე შეინარჩუნა — 86:76 (37:36).

მეორე თამაშმა, რომელმაც თბილისელებს ჩემპიონობა მოუტანა, უფრო ძნელი გამოდგა. თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ და ტაიმიც მოიგეს (42:36). მხოლოდ 27-ე წუთზე გაუსწრეს წინ მასპინძლები და მეორე ტაიმი 12 ქულით მოიგეს, ეს საკმარისი იყო გამარჯვებისათვის — 80:74 და დარჩენილ ორ მატჩს კაუნასში „ჟალგირისთან“ არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა (ამ მატჩებში თბილისელებმა ერთი წააგეს დამატებით ხუთ წუთში—75:80 (39:37, 31:33), მეორე მოიგეს — 78:70 (29:34).

აი ისინი, ვინც ჰქედა გამარჯვებას:

მიხეილ ქორქია, ამირან სხირტელი, ანზორ ლეჟავა, ვალერი ალთაბაევი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან მოსეშვილი, ანტონ კაზანჯიანი, ვაჟა ნარიმანიძე, სერგო მაღალაშვილი, გონდო გოლქვაძე, ზურაბ ჭარბაკი, რევაზ მამალაძე, თამაზ ჩიხლაძე, ზურაბ ლეონტიევი.

დიახ ძალიან დიდი სიხარული მოგვიტანეს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა. რა ვუყოთ, რომ ეს ამდენი ხნის შესვენების შემდეგ მოხდა. მთავარი არის ის, რომ ტრადიცია კვლავ ძალაში რჩება.

მაგრამ ყველაზე უფრო პასუხსაგები მომავალი ჩემპიონატი იქნება. იქნება იმიტომ, რომ ოქროს მედლების მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება. ამას ყველა ძალიან ხშირად იმეორებს, ცხოვრებაც ამას ამტკიცებს და მოდით ჩვენც დავუცადოთ მომავალ შეხვედრებს კალათბურთის ფარებთან.

ო. ლორთქიფანიძე.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოუსმინეთ საქართველოს

საქართველო

საბჭოთა ამიერკავკასია

სარედაქციო კოლეგია

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.